



საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-11/8583
03/09/2021

8583-15-11-2-202109031217



საქართველოს გენერალურ პროკურორს
ბატონ ირაკლი შოთაძეს

წინადადება

2021 წლის 5 ივლისს ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდების ფაქტზე მოქალაქე სპირიდონ ცეციფურიშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.¹

ბატონო ირაკლი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განიხილება 2021 წლის 5 ივლისს თბილისში, სხვადასხვა ლოკაციაზე განხორციელებული ჯგუფური ძალადობის შედეგად ჟურნალისტებისა და მოქალაქეების ჯანმრთელობის დაზიანებისა და შეკრებამანიფესტაციის უფლების დარღვევის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების საკითხი.

2021 წლის 22 ივლისის საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულ

¹ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, არ არის ცნობილი სისხლის სამართლის საქმის მასალები. შესაბამისად, აღნიშნული წინადადება მომზადებულია მედიით გავრცელებული მასალისა და საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე.

სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე, მუხლის მე-2 ნაწილით, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებითა და 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით ბრალდება წარედგინა 27 პირს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, გამოძიება არ მიმდინარეობს ძალადობრივი ქმედებისკენ საჯაროდ მოწოდების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით და სისხლისსამართლებრივი დევნა არ არის დაწყებული მოქალაქე სპირიდონ ცქიფურიშვილის მიმართ.

ფაქტობრივი გარემოებები

როგორც მედიით გავრცელებული ვიდეომასალიდან და საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან² იკვთება, 2021 წლის 5 ივლისს თბილისში, სხვადასხვა ლოკაციაზე, კერძოდ, რუსთაველის გამზირზე, საქართველოს პარლამენტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოძრაობა „სირცხვილიას“ და სამოქალაქო გაერთიანება „თბილისი პრაიდის“ ოფისში, ასევე სხვადასხვა ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა მოქალაქეების მიერ სხვადასხვა ჯგუფებისა და ჟურნალისტების მიმართ ჯგუფური ძალადობის ჩადენის ფაქტს, რის შედეგადაც სხვადასხვა სახისა და ხარისხის ჯანმრთელობის დაზიანებები მიიღეს მოქალაქეებმა, არ მიეცათ შესაძლებლობა ესარგებლათ მშვიდობიანი შეკრება-მანიფესტაციის უფლებით, დაზიანდა სხვადასხვა პირის კუთვნილი ნივთები და ჟურნალისტებს ხელი შეეშალათ პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2021 წლის 5 ივლისის ჯგუფური ძალადობის ფაქტზე დაზარალებულად იქნა ცნობილი 53 პირი და სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული 27 პირის მიმართ.³

გამოცემა „ტაბულას“ მიერ გავრცელებული ვიდეომასალიდან, რომელიც მოპოვებული უნდა იყოს გამოძიების მიერ და უნდა ერთვოდეს საქმეს, იკვთება რომ არსებობს ფაქტობრივ გარემოებათა საკმარისი ერთობლიობა ძალადობრივი ქმედებისკენ საჯაროდ მოწოდების ფაქტზე ვიდეოში ასახული სასულიერო პირის, სპირიდონ ცქიფურიშვილის⁴ მიმართ ბრალდების წასაყენებლად.

ვიდეომასალიდან იკვთება, რომ 5 ივლისს, დაახლოებით 14:14 საათზე, მართლმადიდებლური კონფესიის წარმომადგენელი სასულიერო პირი, მოქალაქე სპირიდონ ცქიფურიშვილი მიკროფონით, ხმის გამაძლიერებლების საშუალებით

² 2021 წლის 22 ივლისის საქართველოს გენერალური პროკურატურის N13/44599 წერილი.

³ 2021 წლის 22 ივლისის საქართველოს გენერალური პროკურატურის N13/44599 წერილი.

⁴ < <https://bit.ly/3mhOK3Q> > [ბოლოს ნანახია 19.08.2021].

მიმართავს მოქალაქეებს: „არა ძალადობას კი არა, ვალდებულები ხართ იძალადოთ სამშობლოსთვის, იძალადოთ ქვეყნისთვის, იძალადოთ სიწმინდისთვის“.⁵

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239¹-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს რაიმე განმასხვავებელი ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად ძალადობრივი ქმედებისკენ ზეპირად, წერილობით ან გამოხატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდების დასჯადობას, თუ ეს ქმნის ძალადობრივი ქმედების განხორციელების აშკარა პირდაპირ და არსებით საფრთხეს.

საქართველოს კანონმდებლობით, დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზება არ ექცევა გამოხატვის თავისუფლების დაცულ სფეროში.⁶ ასევე, დაუშვებელია შეკრება-მანიფესტაციის დროს ძალადობის პროპაგანდა, რაც აღვივებს სოციალურ შუღლს და ქმნის ძალადობის განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.⁷

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტულ პრაქტიკაში განმარტებულია, თუ რა შემთხვევებში გადის ნებისმიერი მოწოდება გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფეროდან, შეიძლება მოექცეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფარგლებში და დაექვემდებაროს კრიმინალიზებას.⁸ საკონსტიტუციო სასამართლო უთითებს, რომ კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას ეწინააღმდეგება ფორმალურად ძალადობისკენ მოწოდების ცალკეული, იზოლირებული იმ შემთხვევების შეფასება კანონსაწინააღმდეგოდ, რაც არ ქმნის ძალადობის განხორციელების რეალურ საფრთხეს. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ „საფრთხის რეალურობის განსაზღვრისთვის უნდა შეფასდეს ის, თუ რა კონტექსტში და რა ვითარებაში არის წარმოთქმული ასეთი მოწოდება“.⁹

საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული განმარტება სრულად თანხვდება საერთაშორისო პრაქტიკას. მაგალითისთვის, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ ძალადობისკენ მოწოდების კრიმინალიზებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის ზღვარი დაადგინა საქმეში ბრანდენბურგი ოჰაიოს წინააღმდეგ, (ე. წ. „ბრანდენბურგის ტესტი“).¹⁰ სასამართლომ მიუთითა, რომ აშშ-ის კონსტიტუციის პირველი შესწორება იცავს კონკრეტული ჯგუფებისა თუ პირებისთვის მიუღებელ გამოსვლებსა და უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვას, თუმცა მოწოდება სცილდება გამოხატვის თავისუფლების

⁵ < <https://bit.ly/2W0Fw1m> > [ბოლოს ნანახია 19.08.2021].

⁶ საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, მუხ.9, პუნქტ.1, ქვეპუნქტ. „დ“.

⁷ საქართველოს კანონი „შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“, მუხ. 11, პუნქტ.2.

⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები ზვიად ძიმიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

⁹ იქვე. II.96.

¹⁰ Brandenburg v. Ohio, 395 U.S. 444 (1969).

ფარგლებს მაშინ, როცა ძალადობისკენ მოწოდება ახდენს ძალადობის პროვოცირებას უახლოეს პერიოდში.¹¹

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველია იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა.¹² დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი სისხლის სამართალში გულისხმობს იმ ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა.¹³

წინამდებარე საქმის ანალიზი

გამოცემა „ტაბულას“ მიერ გავრცელებული ვიდეომასალიდან იკვეთება, რომ 2021 წლის 5 ივლისს „თბილისი პრაიდის“ მიერ დაგეგმილი ღონისძიების მოწინააღმდეგე აქციის მონაწილეთა მიმართ სასულიერო პირის, სპირიდონ ცქიფურიშვილის მიერ ადგილი ჰქონდა პირდაპირ მოწოდებას ძალადობის აუცილებლობისა და სავალდებულოობის შესახებ.

როგორც სამართლებრივ მიმოხილვაში აღინიშნა, გამოხატვის თავისუფლებას სცდება და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239¹ მუხლით აკრძალულ ქმედებაში ექცევა მოწოდება ძალადობისადმი, რომელიც ქმნის ძალადობრივი ქმედების განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, წინამდებარე მოწოდების განხორციელება ხდებოდა ძალადობრივი ქმედებების მიმდინარეობის პარალელურად, რაც კიდევ უფრო ზრდიდა შემდგომი ძალადობრივი ქმედების განხორციელების საფრთხეს. კერძოდ, მედიით გავრცელებული მასალებისა და საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან ცნობილია, რომ 2021 წლის 5 ივლისს, თბილისში, სხვადასხვა ლოკაციაზე, „თბილისი პრაიდის“ ღონისძიების მოწინააღმდეგე აქციის მონაწილეთა მხრიდან ჯგუფური ძალადობის განხორციელების რამდენიმე ეპიზოდს:

- პარლამენტის სასახლის წინ საპროტესტო კარვების დაზიანებას,
- მოძრაობა „სირცხვილიას“ ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებს, მათ შორის, „ტვ პირველის“ ჟურნალისტ მირანდა ბალათურიასა და ოპერატორ ალექსანდრე ლაშქარავას მიმართ (საქართველოს

¹¹ იქვე.

¹² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 169.

¹³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 3, ნაწ. 11.

გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული პირები ცნობილი არიან დაზარალებულებად¹⁴);

- ფილარმონიასთან, „თბილისი პრაიდის“ ოფისის შენობაში რამდენიმე პირის აივნებიდან გადასვლასა და ბანერისა და დროში დაზიანებას (საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „თბილისი პრაიდი“ ცნობილია დაზარალებულად¹⁵);

2021 წლის 5 ივლისის ძალადობრივი ქმედებების შედეგად, საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დაზარალებულად იქნა ცნობილი 53 პირი. ჟურნალისტებისა და სამოქალაქო პირების მიმართ ძალადობის განხორციელებას სხვადასხვა ლოკაციაზე, სადაც სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღეს ჟურნალისტებმა და სამოქალაქო პირებმა, დაზიანდა „თბილისი პრაიდის“ ქონება და პარლამენტის წინ საპროტესტო აქციის მონაწილეთა კუთვნილი კარვები.

ამრიგად, 2021 წლის 5 ივლისს მართლმადიდებლური კონფესიის წარმომადგენელმა სასულიერო პირმა მოქალაქე სპირიდონ ცქიფურიშვილის მიერ, შეკრებილი მოქალაქეების მიმართ, რომლებიც შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი გამონათქვამებით ახდენდნენ ქონების დაზიანებასა და ფიზიკურ თავდასხმებს, ადგილი ჰქონდა ძალადობრივი ქმედების ჩადენისაკენ საჯაროდ მოწოდებას, რა დროსაც სპირიდონ ცქიფურიშვილმა შეკრებილ პირებს მოუწოდა, რომ არათუ გამიჯნოდნენ ძალადობას, არამედ - ეძალადათ.

შესაბამისად, მოქალაქე სპირიდონ ცქიფურიშვილის მიმართ უნდა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის გამო, რაც გულისხმობს ძალადობრივი ქმედებების ჩადენისკენ საჯაროდ მოწოდებას, რომელმაც შექმნა ძალადობრივი ქმედების განხორციელების აშკარა, პირდაპირი და არსებითი საფრთხე.

დასკვნა

შესაბამისად, გამოცემა „ტაბულა“-ს მიერ გავრცელებული ვიდეომასალიდან დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით იკვეთება, რომ 2021 წლის 5 ივლისს მოქალაქე სპირიდონ ცქიფურიშვილის მიერ ადგილი ჰქონდა ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდების ჩადენას, რამაც შექმნა ძალადობრივი ქმედების განხორციელების აშკარა, პირდაპირი და არსებითი საფრთხე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239¹-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება მოქალაქე სპირიდონ ცქიფურიშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში,

¹⁴ 2021 წლის 22 ივლისის საქართველოს გენერალური პროკურატურის N13/44599 წერილი.

¹⁵ 2021 წლის 22 ივლისის საქართველოს გენერალური პროკურატურის N13/44599 წერილი.

მტკიცებულებების მოპოვებისა და დამაგრებისათვის შესაბამისი საგამომიებო მოქმედებების ჩატარების საფუძველი.

შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ წინადადებით, სიუჟეტში ასახული სასულიერო პირის, მოქალაქე სპირიდონ ცქიფურიშვილის მიმართ დაიწყეთ სისხლისსამართლებრივი დევნა ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდების ჩადენის ბრალდებით, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239¹-ე მუხლის პირველი ნაწილით.

გთხოვთ, განხორციელებული რეაგირების შესახებ მაცნობოთ ამავე კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია



სახალხო დამცველი

